ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 438

"27" დეკემბერი 2016 წ.

ქ.თბილისი

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში სატელეფონო კავშირით სარგებლობის ხარჯების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 280 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. შეტანილ იქნას ცვლილება „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში სატელეფონო კავშირით სარგებლობის ხარჯების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №280 განკარგულებაში და განკარგულების პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და საკრებულოს აპარატში საქალაქო ტელეფონებით გამსვლელი ოპერატორების საშუალებით სარგებლობისთვის ყოველთვიური ზღვრული ლიმიტი" (დანართი №1) და „ბ" ქვეპუნქტით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთ თანამდებობის პირთა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ზოგიერთ მოხელეთა მობილური ტელეფონებით სარგებლობისათვის გასაწევი ხარჯების ყოველთვიური ლიმიტი" (დანართი №2) ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

2. განკარგულება ძალაშია 2017 წლის 1 იანვრიდან.

3. განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12კმ. N6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

დანართი №1

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და საკრებულოს აპარატში საქალაქო ტელეფონებით გამსვლელი ოპერატორების საშუალებით სარგებლობისთვის ყოველთვიური ზღვრული ლიმიტი

N	დასახელება	ყოველთვიური ლიმიტი ლარობით
1.	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის სამუშაო ოთახში არსებული საქალაქო ტელეფონის ერთ-ერთი ნომერი	20
2.	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის სამუშაო ოთახში არსებული საქალაქო ტელეფონის ერთ-ერთი ნომერი	20
3.	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეების სამუშაო ოთახებში არსებული საქალაქო ტელეფონის ერთ-ერთი ნომერი	20
4.	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეების სამუშაო ოთახებში არსებული საქალაქო ტელეფონის ერთ-ერთი ნომერი	20
5.	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციების თავმჯდომარეების სამუშაო ოთახებში არსებული საქალაქო ტელეფონის ერთ-ერთი ნომერი	20
6.	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის სამუშაო ოთახში არსებული საქალაქო ტელეფონის ერთ-ერთი ნომერი	20
7.	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის მოადგილეების სამუშაო ოთახებში არსებული საქალაქო ტელეფონის ერთ-ერთი ნომერი	20
8.	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სტრუქტურული ერთეულების სამუშაო ოთახებში არსებული საქალაქო ტელეფონის ერთ-ერთი ნომერი	20

შენიშვნა:

1. ზემოაღნიშნულ ცხრილში განსაზღვრული 20 ლარიანი ლიმიტები, შესაბამისი ტექნიკური პირობების არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია გადანაწილებული იქნას რამდენიმე საქალაქო ტელეფონზე.
2. ზემოაღნიშნულ ლიმიტებში გათვალისწინებული არ არის სააბონენტო და სხვა მომსახურების გადასახადი.
3. ფაქსისთვის გათვალისწინებულ სატელეფონო ნომერზე ცალკე ლიმიტი არ წესდება. ხარჯი გაწეული უნდა იქნას დადგენილი ლიმიტიდან.

დანართი №2

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთ თანამდებობის პირთა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ზოგიერთ მოხელეთა მობილური ტელეფონებით სარგებლობისათვის გასაწევი ხარჯების ყოველთვიური ლიმიტი

N	დასახელება	ყოველთვიური ლიმიტი ლარობით
1.	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე	ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით
2.	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	150
3.	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	150
4.	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	100
5.	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	100
6.	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხვა წევრი	40
7.	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი	60
8.	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის მოადგილე	40
9.	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (გარდა საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების სამდივნოს უფროსებისა)	30
10.	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი	60

შენიშვნა:

ზემოაღნიშნულ ცხრილში აღნიშნული პირების საზღვარგარეთ სამსახურებრივი მივლინების პერიოდში მათი როუმინგით მომსახურება ხორციელდება ამ დანართით დამტკიცებული ლიმიტის ფარგლებში.